უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 20

2019 წ. „19“ 04

ქ. თბილისი

„სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭის 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,
   ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის პროფესიული და მოკლე ციკლის პროგრამების დამატების შესახებ“.
   ბ) დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	21	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის(პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი *(1)*	მესამე საფეხური	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	7	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
2	ამწის ოპერირება *(1)*	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	46	61	ქართული	20	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

3	შედუღება *(1)*	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	45	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
4	ამწის ოპერირება *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	76	106	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
5	შედუღება *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
6	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი *(1)*	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	51	81	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
8	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია *(1)*	მეხუთე დონე	ასოცირებული ხარისხი თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში 040780	88	118	ქართული	60	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) *საფუძველზე შემუშავებული პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) *საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.“*

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 27 მარტს, ხოლო მოკლე ციკლის პროგრამების ნაწილში გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ გამოცემული ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №8 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი